ინსტრუქცია (გზამკვლევი)

2015 წელს მაგისტრატურაში ჩაბარების მსურველთათვის

სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხვის აუცილებელი პირობები. დადგენილი წესის მიხედვით, 2009 წლიდან მოყოლებული საქართველოს ყველა უმაღლეს სასწავლებელში ნებისმიერ სამაგისტრო პროგრამაზე (გარდა საშემსრულებლო სპეციალობებისა) სწავლის გაგრძელების აუცილებელი პირობაა თითოეული მსურველის მიერ ორი გამოცდის ჩაბარება. ეს გამოცდებია: საერთო სამაგისტრო გამოცდა (სსგ) და გამოცდა სპეციალობაში. სსგ-ის ჩატარებაზე პასუხისმგებელია გამოცდების ეროვნული ცენტრი, ხოლო გამოცდაზე სპეციალობაში - შესაბამისი უმაღლესი სასწავლებელი.

სსგ-ის ფუნქციები. სსგ, პირველ რიგში, ამოწმებს აპლიკანტის მიერ მოცემულ პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მინიმალურ შესაძლებლობებს (უზრუნველყოფს მინიმალურ სტანდარტს); გარდა ამისა, სსგ-ზე მიღებული შედეგები შესაძლებელია გათვალისწინებული იყოს მოცემულ სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის პროცესში; და ბოლოს, სსგ-ის შედეგების მიხედვით ხდება სახელმწიფო დაფინანსების (გრანტის) განაწილება.

სსგ-ის ტესტის შემადგენელი ნაწილები, ჩატარების პერიოდი და ხანგრძლივობა. სსგ-ის ტესტი შედგება ოთხი ნაწილისაგან. ეს ნაწილებია:

- წაკითხულის გააზრება;
- ანალიტიკური წერა;
- ლოგიკური მსჯელობა;
- რაოდენობრივი მსჯელობა.

2015 წელს გამოცდის ჩატარება იგეგმება ივლისში. გამოცდისთვის გამოყოფილია ორი დღე. პირველ დღეს ჩატარდება გამოცდა ორ ნაწილში: წაკითხულის გააზრება, ანალიტიკური წერა; მეორე დღეს კი დარჩენილ ორ ნაწილში: ლოგიკური მსჯელობა, რაოდენობრივი მსჯელობა. გამოცდის ხანგრძლივობა თითოეული ნაწილისათვის იქნება 1 სთ და 10 წთ.

სსგ-ის დავალებათა რაოდენობა ტესტის ნაწილების მიხედვით, კომპეტენციის მინიმალური ზღვრები, შეფასების სისტემა და სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის კონკურსში მონაწილეობის გაგრძელების აუცილებელი პირობა. საგამოცდო ტესტის წაკითხულის გააზრების ნაწილში ნავარაუდევია 20-23 დავალების შეთავაზება, ანალიტიკურ წერაში - 2 დავალების, ლოგიკური მსჯელობის ნაწილში - 17-ის, ხოლო რაოდენობრივი მსჯელობის ნაწილში - 20-ის.

კომპეტენციის მინიმალური ზღვარი თითოეულ ნაწილში, გარდა რაოდენობრივი მსჯელობისა, შეადგენს ამ ნაწილისათვის განსაზღვრული მაქსიმალური შეფასების 30%-ს, ხოლო რაოდენობრივ მსჯელობაში - ამ ნაწილისათვის განსაზღვრული მაქსიმალური შეფასების 25%-ს. მოცემულ ნაწილში აპლიკანტის მიერ კომპეტენციის მინიმალური ზღვარი ჩაითვლება გადალახულად, თუ მან დააგროვა ამ ნაწილის შესაბამისი მაქსიმალური შესაძლო ქულის დადგენილ ზღვარზე მეტი.

სსგ-ის ტესტის სამი ნაწილის (წაკითხულის გააზრება, ლოგიკური მსჯელობა, რაოდენობრივი მსჯელობა) თითოეულ დავალებას ახლავს 5 სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი. თითოეული დავალება ფასდება 1, 0, ან -0,2 ქულით. სწორი პასუხის გაცემისათვის იწერება 1 ქულა, თუ არც ერთი პასუხი არ არის მონიშნული, იწერება 0 ქულა, ხოლო არასწორად გაცემული პასუხისათვის აკლდება 0,2 ქულა (ანუ, იწერება -0,2 ქულა). რაც შეეხება ტესტის ანალიტიკური წერის კომპონენტის ორ დავალებას, თითოეული მათგანი სწორდება წინასწარ დადგენილი შეფასების სქემის მიხედვით.

სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის კონკურსში მონაწილეობის გაგრძელებისათვის აუცილებელია სსგ-ის ბარიერის დაძლევა, რაც გულისხმობს საგამოცდო ტესტის 4 ნაწილიდან რომელიმე 3-ში მაინც კომპეტენციის მინიმალური ზღვრის გადალახვას. ამასთან, უმაღლეს სასწავლებელს შეუძლია: ა) თვითონ დააწესოს ის 3 ნაწილი, რომელშიც მოითხოვს კომპეტენციის მინიმალური ზღვრის გადალახვას, ბ) მოითხოვოს კომპეტენციის მინიმალური ზღვრის გადალახვა ტესტის ოთხივე ნაწილში, გ) დააწესოს კომპეტენციის უფრო მაღალი მინიმალური ზღვარი ტესტის ერთი, რამდენიმე, ან ყველა ნაწილისათვის.

სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის პრინციპი. ჩარიცხვის პროცესში უმაღლეს სასწავლებელს უფლება აქვს სსგ-ის ბარიერგადალახული აპლიკანტები სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხოს მხოლოდ სპეციალობაში გამოცდის შედეგების მიხედვით. იმ შემთხვევაში, თუ უმაღლესი სასწავლებელი საჭიროდ მიიჩნევს ჩარიცხვის პროცესში სსგ-ის შედეგების გათვალისწინებას, სასწავლებელი სსგ-ს და გამოცდას სპეციალობაში ანიჭებს გარკვეულ კოეფიციენტებს, რომელთა ჯამი 100-ის ტოლი უნდა იყოს. ამასთან, სსგ-სათვის მინიჭებული კოეფიციენტი უნდა იყოს არანაკლებ 35-სა და არაუმეტეს 65-ის ტოლი. სსგ-სათვის მინიჭებული კოეფიციენტი უნდა ნაწილდებოდეს ტესტის ოთხივე ნაწილზე (თითოეული ნაწილისათვის მისანიჭებელ კოეფიციენტს განსაზღვრავს უმაღლესი სასწავლებელი, მაგრამ ეს კოეფიციენტი თითოეული ნაწილისათვის არანაკლებ 5-ის ტოლი უნდა იყოს). სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის საკონკურსო ქულის დაანგარიშება ხდება შემდეგი პრინციპის მიხედვით: სსგ-ის თითოეული ნაწილისა და სპეციალობაში გამოცდის ნორმირებული ქულები (მიღებული შეფასება გაყოფილი მაქსიმალურ ქულაზე) მრავლდება შესაბამის კოეფიციენტებზე და ჯამდება.

საგრანტო კონკურსში მონაწილეობის უფლების მოპოვება და საგრანტო ქულის დაანგარიშების წესი. საგრანტო კონკურსში მონაწილეობენ მხოლოდ ის კანდიდატები, რომლებმაც წარმატებით გაიარეს სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხვის კონკურსი. მაგისტრანტობის მსურველის საგრანტო ქულა წარმოადგენს მის მიერ ტესტის ოთხივე ნაწილში მიღებულ ნორმირებულ ქულათა ჯამს, გამრავლებულს გარკვეულ, ფიქსირებულ, მთელ დადებით რიცხვზე.

სიახლე!

2015 წელს გამოცდაზე გასატანი ტესტების აღწერა ტიპების მიხედვით.

2013-2014 წლებში საერთო სამაგისტრო გამოცდებზე, მიმართულებების მიხედვით, შეთავაზებული იყო ხუთი სხვადასხვა ტიპის ტესტი. გადაწყდა, რომ 2015 წლიდან საერთო სამაგისტრო გამოცდაზე, მიმართულებების მიხედვით, შეთავაზებული იქნება სულ **სამი** სხვადასხვა - **A, B და C - ტიპის ტესტი**. მაგისტრანტობის თითოეულმა მსურველმა ამ სამიდან <u>გამოცდაზე უნდა შეასრულოს მხოლოდ ერთი ტიპის ტესტი</u>.

A, B და C - ტიპის ტესტებიდან თითოეული, ისევე, როგორც გასულ წლებში, შედგენილი იქნება ოთხი ნაწილისაგან. ეს ნაწილებია: წაკითხულის გააზრება; ანალიტიკური წერა; ლოგიკური მსჯელობა; რაოდენობრივი მსჯელობა. განვიხილოთ ეს ნაწილები ცალ-ცალკე.

წ ა კ ი თ ხ უ ლ ი ს გ ა ა ზ რ ე ბ ა. ტესტის ეს ნაწილი სამივე - A, B და C - ტიპის ტესტში ერთი და იგივე იქნება.

ა ნ ა ლ ი ტ ი კ უ რ ი წ ე რ ა. 2015 წელს (ისე, როგორც ეს იყო 2013-2014 წლებში) გამოცდაზე გავა ანალიტიკური წერის ნაწილის ორი ვარიანტი. პირველი ვარიანტი შედგენილი იქნება ორი კომპონენტისაგან: „თემა მოცემულ საკითხზე“ და „მსჯელობის ანალიზი“, ხოლო მეორე ვარიანტი - შემდეგი ორი კომპონენტისაგან: „გადაწყვეტილების დასაბუთება“ და „მსჯელობის ანალიზი“.

ლ ო გ ი კ უ რ ი მ ს ჯ ე ლ ო ბ ა. ტესტის ეს ნაწილი (2013-2014 წლებისაგან განსხვავებით) სამივე - A, B და C - ტიპის ტესტში ერთი და იგივე იქნება.

რ ა ო დ ე ნ ო ბ რ ი ვ ი მ ს ჯ ე ლ ო ბ ა. 2015 წლის საერთო სამაგისტრო გამოცდაზე (ისე, როგორც ეს იყო 2013-2014 წლებში) გატანილი იქნება რაოდენობრივი მსჯელობის ნაწილის ორი სხვადასხვა ვარიანტი, რომლებიც განსხვავებული იქნება სირთულის მიხედვით.

ქვემოთ მოყვანილ №1 ცხრილში მოცემულია ზემოთ ნახსენები სამი სხვადასხვა ტიპის ტესტისა და მათი შემადგენელი ნაწილების აღწერა.

შენიშვნა:

ა) „წაკითხულის გააზრების“ სვეტში RC აღნიშნავს ამ ნაწილის იმ ერთადერთ ვარიანტს, რომელიც ერთი და იგივეა სამივე ტიპის ტესტში.

ბ) „ლოგიკური მსჯელობის“ სვეტში LR აღნიშნავს ამ ნაწილის იმ ერთადერთ ვარიანტს, რომელიც ერთი და იგივეა სამივე ტიპის ტესტში.

გ) „ანალიტიკური წერის სვეტში“ AW1 აღნიშნავს ამ ნაწილის იმ ვარიანტს, რომლის შემადგენელი კომპონენტებია „თემა მოცემულ საკითხზე“ და „მსჯელობის ანალიზი“, ხოლო AW2 - ამ ნაწილის იმ ვარიანტს, რომლის შემადგენელი კომპონენტებია „გადაწყვეტილების დასაბუთება“ და „მსჯელობის ანალიზი“.

დ) „რაოდენობრივი მსჯელობის“ სვეტში QR1 აღნიშნავს ამ ნაწილის შედარებით მარტივ ვარიანტს, ხოლო QR2 - იმავე ნაწილის შედარებით რთულ ვარიანტს.

ცხრილი №1

ტესტის ტიპი	წაკითხულის გააზრება	ანალიტიკური წერა	ლოგიკური მსჯელობა	რაოდენობრივი მსჯელობა
A	RC	AW1	LR	QR1
B	RC	AW1	LR	QR2
C	RC	AW2	LR	QR1

მაგალითისათვის, B ტიპის ტესტი შედგება: წაკითხულის გააზრებისა და ლოგიკური მსჯელობის იმ ვარიანტებისაგან, რომლებიც ერთი და იგივეა სამივე ტიპის ტესტში; ანალიტიკური წერის იმ ვარიანტისაგან, რომლის შემადგენელი კომპონენტებია „თემა მოცემულ საკითხზე“ და „მსჯელობის ანალიზი“; რაოდენობრივი მსჯელობის შედარებით რთული ვარიანტისაგან.

რეგისტრაციის დროს საგამოცდო ტესტის ტიპის შერჩევა.

განაცხადის შევსებისას აპლიკანტმა აუცილებლად უნდა მიუთითოს ტესტის ის ტიპი, რომელიც ცალსახად შეესაბამება აპლიკანტის მიერ არჩეულ სამაგისტრო პროგრამას. საერთო სამაგისტრო გამოცდაზე აპლიკანტს მოუწევს სწორედ მის მიერ შერჩეული ტიპის ტესტის შესრულება.

საგრანტო კონკურსი. სახელმწიფო გრანტი გაიცემა სსგ-ის შედეგების მიხედვით მხოლოდ აკრედიტებულ სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხულთათვის. ამასთან, კონკურსში გამარჯვებული ის აპლიკანტები, რომელთაც სურვილი აქვთ გააგრძელონ სწავლა ისეთ სამაგისტრო პროგრამებზე, სადაც სწავლის ღირებულება არ აღემატება 2250 ლარს, სწავლის ორი წლის მანძილზე ისინი ფინანსდებიან სრულად, ხოლო დანარჩენ შემთხვევებში გამარჯვებულ აპლიკანტებს გრანტის სახით წელიწადში (სწავლის ორი წლის მანძილზე) ეძლევათ 2250 ლარი. ისევე, როგორც გასულ წლებში, 2015 წელსაც დადგენილია 11 საგანმანათლებლო მიმართულება. ამასთან, ყოველი სამაგისტრო პროგრამა მიეკუთვნება რომელიმე ერთს ამ მიმართულებათაგან. თითოეული მიმართულებისათვის დადგენილია მთელი თანხის ის ნაწილი, რითაც ეს მიმართულება დაფინანსდება. მთელი თანხის 40% თანაბრად გადანაწილდება მიმართულებებზე (თითოეული მიმართულებისათვის ეს შეადგენს დაახლოებით 3,64%-ს), ხოლო დარჩენილი 60% კი განაწილდება ე.წ. პრიორიტეტების მიხედვით. საერთო ჯამში თითოეული მიმართულებისათვის გამოყოფილი თანხა განისაზღვრება ამ 40 და 60 პროცენტიდან გამოყოფილი თანხების ჯამით. საგრანტო კონკურსში ერთმანეთს შეეჯიბრებიან მხოლოდ ის აპლიკანტები, რომელთა მიერ არჩეული სამაგისტრო პროგრამები ერთსა და იმავე მიმართულებას მიეკუთვნება, რაც მაქსიმალურად გამორიცხავს იმის საშიშროებას, რომ (ასეთი სისტემის არარსებობის შემთხვევაში) შესაძლოა დაფინანსებულიყო მხოლოდ რამდენიმე სპეციალობა, სპეციალობათა დიდი ნაწილი კი დარჩენილიყო დაფინანსების გარეშე. შევნიშნავთ, რომ ყოველ კონკრეტულ მიმართულებაში მოხვედრილ თითოეულ სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველები აბარებენ ერთსა და იმავე ტიპის ტესტს, თუმცა არსებობს რამდენიმე სხვადასხვა მიმართულება, სადაც ერთი და იმავე ტიპის ტესტი ბარდება.

ქვემოთ მოცემულ №2 ცხრილში წარმოდგენილია სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი მთელი საგრანტო თანხის განაწილება როგორც თანაბარი პრინციპით (40%), ასევე პრიორიტეტების მიხედვით (60%). ამავე ცხრილში ყოველი კონკრეტული მიმართულებისათვის მითითებულია სსგ-ის ტესტის ის ტიპი, რომელსაც აბარებენ მოცემულ მიმართულებაში მოხვედრილ სამაგისტრო პროგრამებზე ჩაბარების მსურველები.

ყურადღება!

2015 წელს ზოგიერთი მიმართულების შესაბამისი ტესტის ტიპი არ ემთხვევა 2013-2014 წლებში ამავე მიმართულების შესაბამისი ტესტის ტიპს.

ცხრილი №2

მიმართულება	ტესტის ტიპი	თანხის განაწილება		
		მთელი თანხის **40%**-ის თანაბრად განაწილება	მთელი თანხის **60%**-ის განაწილება მიმართულებების მიხედვით	მთელი თანხის პროცენტი
საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი (გარდა ფიზიკისა)	**A**	3,64%	9,00%	**12,64%**
ჯანდაცვა	**A**	3,64%	1,00%	**4,64%**
ჰუმანიტარული	**A**	3,64%	6,00%	**9,64%**
ხელოვნება	**A**	3,64%	0,50%	**4,14%**
აგრარული	**A**	3,64%	1,00%	**4,64%**
განათლება	**A**	3,64%	6,00%	**9,64%**
სოციალური მეცნიერებები (გარდა ეკონომიკისა)	**A**	3,64%	8,50%	**12,14%**
საინჟინრო (გარდა ინფორმაციული ტექნოლოგიებისა)	**B**	3,64%	9,50%	**13,14%**
მათემატიკა, ინფორმაციული ტექნოლოგიები, ფიზიკა	**B**	3,64%	10,50%	**14,14%**
ბიზნესი და ეკონომიკა	**B**	3,64%	5,00%	**8,64%**
სამართალი	**C**	3,64%	3,00%	**6,64%**

<u>**შენიშვნა**</u>. ცხრილში მოცემული რიცხვები დამრგვალებულია მეასედებამდე სიზუსტით.

გამოცდების ეროვნული ცენტრი მაგისტრანტობის თითოეულ კანდიდატს უსურვებს წარმატებას საერთო სამაგისტრო გამოცდაზე!